



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
გენერალური აუდიტორის ბრძანება



№ 004734/21

15/06/2021

**„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის
წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2020 წლის
31 დეკემბრის №008350/21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტების, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2020 წლის 31 დეკემბრის №008350/21 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის 2021 წლის 10 ივნისის №3239/30 ოქმი.

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

2021

აუდიტორული საქმიანობის 2021 წლის გეგმა

სარჩევი

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა.....	3
1. შეჯამება.....	3
2. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი.....	4
ნაწილი 2. აუდიტორული საქმიანობის გეგმა.....	5
1. ფინანსური აუდიტები	5
2. უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები.....	7
3. შესაბამისობის თემატური აუდიტები	8
4. ეფექტიანობის აუდიტები.....	12

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა

1. შეჯამება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად, 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმა განსაზღვრა **55 აუდიტით**, რომლითაც იგეგმება **ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 92%-ის დაფარვა**. 2020 წელთან შედარებით, 3 პროცენტული პუნქტით იზრდება ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი.

გეგმის მაჩვენებლები	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
აუდიტების რაოდენობა	60	55
დაფარვის მაჩვენებელი (მლნ ლარი)	13,893	16,696
დაფარვის მაჩვენებელი (პროცენტი)	89%	92%

აუდიტების განაწილება აუდიტების სახეობების მიხედვით:

რაოდენობა აუდიტის სახეობების მიხედვით	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
ფინანსური აუდიტი	11	11
შესაბამისობის აუდიტი	38	26
ეფექტიანობის აუდიტი	11	18

2020 წელთან შედარებით იგივე რჩება ფინანსური აუდიტების რაოდენობა, თუმცა იზრდება ფინანსური აუდიტებით თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შემთხვევაში, ინდივიდუალური უწყებების ფინანსური აუდიტების ნაცვლად, ხორციელდება რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგებების ფინანსური აუდიტი.

გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის ექსპერტების მიერ SAI-PMF-ის¹ შეფასების მიხედვით მიღებული რეკომენდაციები, რის შედეგად, 2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო უწყებათაშორისი აუდიტების განხორციელება. 2019-2020 წლებში განხორციელდა 3 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი. 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით გათვალისწინებულია 3 მსგავსი ტიპის აუდიტი.

უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის შედეგებმა კარგად წარმოაჩინა ამ ტიპის აუდიტის ჩატარების უპირატესობები. აღნიშნული აუდიტის ფარგლებში თემატურად იფარება ათეულობით საბიუჯეტო ორგანიზაცია, განსხვავებით ტრადიციული შესაბამისობის აუდიტისგან, რომელიც კონცენტრირებულია მხოლოდ ერთ უწყებაზე. რამდენადაც შესაბამისობის აუდიტების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ხშირ შემთხვევაში სისტემურია და საერთოა საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობისათვის, მსგავსი ნაკლოვანებების აღმოფხვრა ხშირად სცდება ინდივიდუალური უწყების

¹ უმაღლესი აუდიტორული ორგანოს საქმიანობის შეფასების ჩარჩო, რომლის მიხედვით, სას-ის საქმიანობა შეფასდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებთან (ISSAIs) მიმართებით.

უფლებამოსილებას. სწორედ ამიტომ, მსგავსი მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს საჯარო სექტორში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

შესაბამისად, უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები რაოდენობრივად ამცირებს ჩატარებულ აუდიტებს, მაგრამ მნიშვნელოვნად ზრდის აუდიტის შედეგად მოტანილ სარგებელსა და დაფარული ორგანიზაციების რიცხვს როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე. აქედან გამომდინარე, 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური ფოკუსირდება უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტებზე. შედეგად, გეგმაში მცირდება შესაბამისობის აუდიტების საერთო რაოდენობა, თუმცა იზრდება აუდიტით დასაფარი საბიუჯეტო ორგანიზაციების რაოდენობა.

2020 წელთან შედარებით, იზრდება ეფექტიანობის აუდიტის როგორც რაოდენობა (11-დან 18-მდე), ასევე მისი წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში (18%-დან 33%-მდე).

აღსანიშნავია, რომ წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მომართვები. 2019-2020 წლებში სხვადასხვა წყაროდან მიღებული მომართვების 44% გათვალისწინებულ იქნა 2020 და 2021 წლების აუდიტორული საქმიანობის გეგმებში.

2. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა განისაზღვრება ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმის და აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტების მიხედვით. გეგმის მიზანია, სამსახურის აუდიტორული საქმიანობა ორიენტირებული გახადოს საჯარო ფინანსების მნიშვნელოვან საკითხებზე და ხელი შეუწყოს ორგანიზაციის არსებული რესურსების სწორ განაწილებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენისას ეყრდნობა აუდიტების შერჩევის რისკებზე დაფუძნებული მიდგომის კრიტერიუმებს.² გარდა ამისა, აუდიტის სამსახური ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და ინიციატივებს. დაგეგმვის პროცესში სამსახური ხელმძღვანელობს აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის რისკებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე უწყების/პროგრამის მნიშვნელობის ზეგავლენასა და გამოვლენილი რისკების რეალიზების ალბათობას.

² ძირითადი კრიტერიუმებია:

- მხარჯავი უწყებების/პროგრამის ასიგნებების წილი მთლიან საბიუჯეტო ასიგნებებში;
- ზედამხედველობის რისკი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციებზე რეაგირების მდგომარეობა;
- ინსტიტუციური შეფასების საფუძველზე გამოვლენილი მაღალრისკიანობა;
- გარე წყაროების მიერ გამოვლენილი მნიშვნელოვანი მართვის პრობლემები.

ნაწილი 2. აუდიტორული საქმიანობის გეგმა

1. ფინანსური აუდიტები

ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

ფინანსური აუდიტების შედეგად მიღებული ინფორმაცია აისახება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური კანონით ვალდებულია პარლამენტს წარუდგინოს „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მოხსენება, მთავრობის მიერ ანგარიშის მომზადებიდან 50 დღის ვადაში (არა უგვიანეს 20 მაისისა).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2022 წლების განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს ფინანსური აუდიტის ფარგლებში ბიუჯეტის 90%-იანი და მეტი დაფარვის უზრუნველყოფას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შედეგად, იგეგმება 2021 წლის დაფარვის მაჩვენებლის გაზრდა 2020 წლის 89%-დან 92%-მდე.

2021 წელს განსაზღვრულია 11 ფინანსური აუდიტის ჩატარება:

- 8 ფინანსური აუდიტი – ცენტრალურ ბიუჯეტში;
- 1 ფინანსური აუდიტი – აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტში;
- 1 ფინანსური აუდიტი – აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტში;
- 1 ფინანსური აუდიტი – მუნიციპალურ ბიუჯეტში.

ფინანსური აუდიტებით დაიფარება:

- ცენტრალური ბიუჯეტის 93%;
- აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტის 100%;
- აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტის 100%;
- მუნიციპალური ბიუჯეტების 42%.

N	ბიუჯეტის დონე	დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2020 წელი	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

[illegible]

		სოციალური დაცვის სამინისტრო			მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
9	აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება	2020 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
10	აჭარის ა/რ ბიუჯეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება	2020 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
11	მუნიციპალური ბიუჯეტი	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება	2020 წელი	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

2. უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები

უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტების ჩატარება აუდიტის სამსახურის ახალი მიმართულებაა, რაც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენას.

2021 წლის გეგმით განისაზღვრა 3 ასეთი შესაბამისობის აუდიტი:

N	დასახელება	აუდიტის პერიოდი	აუდიტის მიზანი
1	მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2019-2020 წლები	აუდიტის მიზანია მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესრულების საზედამხედველო საქმიანობის სათანადო კრიტერიუმთან შესაბამისობის საკითხების შესწავლა.

2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი	2020 წელი	აუდიტის მიზანია აუდიტის საგნის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხების შესწავლა.
3	სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემური საკითხების შესაბამისობის აუდიტი*	2017-2019 წლები	აუდიტის მიზანია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, დასკვნის ჩამოყალიბება იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებს.

3. შესაბამისობის თემატური აუდიტები

შესაბამისობის აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის ოპერაციებისა და საქმიანობის შესაბამისობის შეფასება კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელმწიფო და საგრანტო მოთხოვნებთან, ასევე ორგანიზაციულ პოლიტიკებთან და პროცედურებთან. შესაბამისობის აუდიტი საშუალებას იძლევა ყურადღება გამახვილდეს უფრო მაღალი რისკის მატარებელ და აქტუალურ თემებზე.

2021 წლის აუდიტორული გეგმით განისაზღვრა 23 შესაბამისობის (თემატური) აუდიტის ჩატარება, აქედან:

- ცენტრალური ხელისუფლების დონეზე – 8 შესაბამისობის აუდიტი;
- აჭარის ა/რ-ში – 4 შესაბამისობის აუდიტი;
- აფხაზეთის ა/რ-ში – 2 შესაბამისობის აუდიტი;
- მუნიციპალიტეტებში – 9 შესაბამისობის აუდიტი.

N	დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	პროექტის - „დანერგე მომავალი“ შესაბამისობის აუდიტი	2018-2020 წლები	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია პროგრამის საკანონმდებლო და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება. ამასთანავე, გაანალიზდება ცალკეული პროექტის დაფინანსების მიზნობრიობა და მიღწეული შედეგები.
2	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის აქტივების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი	2019-2020 წლები	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია აქტივების მართვისა და განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხების შესწავლა.
3	COVID-19 პანდემიის საპასუხოდ ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული სახელმწიფო	2020 - 2021 ივნისი	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი ერთეულების მიერ პანდემიის საპასუხოდ განხორციელებული შესყიდვების

* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც გადმოვიდა 2020 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმიდან და დამთავრდება 2021 წელს.

	შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი			კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები.
4	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018-2020 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი	2018-2020 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების დროს მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები.
5	საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების შესაბამისობის აუდიტი*	2013-2019 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაწეულ მომსახურებაზე ფასწარმოქმნის და მისი ანაზღაურების კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები.
6	ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2018-2020 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ფედერაციის მიერ 2018-2020 წლებში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები.
7	სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი*	2018-2020 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუზეუმის მიერ 2018-2020 წლებში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები.
8	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესაბამისობის აუდიტი	2019-2020 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ 2019-2020 წლებში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები.
9	სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს მიერ დახარჯული საბიუჯეტოს სახსრების შესაბამისობის აუდიტი	2019-2020 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში გახარჯული საბიუჯეტო სახსრების კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხების შესწავლა.
10	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა	2019-2020 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის	აუდიტის მიზანია პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე დახარჯული საბიუჯეტო სახსრების კანონმდებლობასთან და სხვა

* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2020 წელს და დამთავრდება 2021 წელს.

	სამინისტროში „დევნილთა ჩასახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში დახარჯული საბიუჯეტო სახსრების შესაბამისობის აუდიტი		ავტონომიურ რესპუბლიკაში	მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხების შესწავლა.
11	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2019-2020 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2019-2020 წლებში გაწეული საქმიანობის (პროგრამული კოდით 01 00) კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები.
12	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 წლების შესაბამისობის აუდიტი*	2018-2019 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხების შესწავლა.
13	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2019-2020 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2019-2020 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
14	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2019-2020 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2019-2020 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
15	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2019-2020 წლები	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2019-2020 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.

[illegible]

21	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2019-2020 წლები	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2019-2020 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
22	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2019-2020 წლები	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2019-2020 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
23	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2019-2020 წლები	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2019-2020 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.

4. ეფექტიანობის აუდიტები

ეფექტიანობის აუდიტი თანამედროვე საჯარო სექტორის აუდიტის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფო მმართველობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტი მიზნად ისახავს შეაფასოს, რამდენად იქნა მიღწეული გადახდილი ფასის შესაბამისი სარგებელი. ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება ხელს უწყობს საჯარო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას, მათ მიზანმიმართულად და ეფექტიანად გამოყენებას.

2021 წლის გეგმით გათვალისწინებულია 18 ეფექტიანობის აუდიტი, რაც მთლიანი აუდიტორული საქმიანობის (55 აუდიტი) 33%-ს შეადგენს. შესაბამისად, 2020 წელთან შედარებით იზრდება ეფექტიანობის აუდიტების როგორც რაოდენობა (11-დან 18-მდე), ასევე წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში (18%-დან 33%-მდე).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მნიშვნელოვანია დაფაროს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები. 2020 წელს პანდემიამ მსოფლიოს მასშტაბით შექმნა ახალი რეალობა არაერთი მიმართულებით. მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნის

პრიორიტეტები და შესაბამისად, ბიუჯეტის სტრუქტურა და პროგრამები. საკითხის მასშტაბიდან და არსებითობიდან გამომდინარე, 2021 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით სამსახური ეფექტიანობის აუდიტით დაფარავს პანდემიასთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს:

- COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი საკარანტინო ზონების მართვა;
- დისტანციური სწავლება საჯარო სკოლებში;
- COVID-19 პანდემიის პირობებში სამედიცინო სერვისების უწყვეტობა;
- საჯარო სექტორში ელექტრონული სერვისების უწყვეტობა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ღონისძიებები.

N	დასახელება	სფერო	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)	ეკონომიკური საქმიანობა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აღნიშნულ პროექტს (SRAMP) მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დამოუკიდებელი აუდიტის დასრულების შემდგომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მსოფლიო ბანკს წარუდგენს აუდიტის დასკვნას. აღნიშნული დასკვნა საჭიროა მსოფლიო ბანკიდან მიღებული დაფინანსების სესხად აღიარებისათვის.
2	COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი საკარანტინო ზონების მართვა	ეკონომიკური საქმიანობა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	COVID-19 პანდემიის გავრცელების რისკების შემცირების მიზნით შეიქმნა საკარანტინო სივრცეები, რომლებიც 2020 წლის განმავლობაში უზრუნველყოფდნენ რისკგუფებს მიკუთვნებული პირების დროებით იზოლირებას. აუდიტის მიზანია შეისწავლოს პროექტის მართვის ეფექტიანობის საკითხები.
3	სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები (შემდგომი რეაგირება)*	ეკონომიკური საქმიანობა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს 2015 წელს სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა იმ ახალი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც განხორციელდა სურსათის უვნებლობის მიმართულებით და შეაფასოს აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული ცვლილებები და მიღწეული შედეგები.
4	საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებები (შემდგომი რეაგირება)	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს 2018 წელს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა იმ ახალი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც განხორციელდა საგზაო მოძრაობის წესების მიმართულებით და შეაფასოს აღნიშნულ პერიოდში

* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2020 წელს და დამთავრდება 2021 წელს.

				განხორციელებული ცვლილებები და მიღწეული შედეგები.
5	მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია*	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს რამდენად უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები დასახული მიზნების მიღწევას.
6	დისტანციური სწავლება საჯარო სკოლებში	განათლება	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ერთეულების მიერ დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიზნით გატარებული ღონისძიებების პროდუქტიულობა და ეფექტიანობა.
7	COVID-19 პანდემიის პირობებში სამედიცინო სერვისების უწყვეტობა	ჯანმრთელობის დაცვა	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტიანი იყო სამინისტროს მიერ დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებები, ბენეფიციართათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისების დროული და სრულყოფილი მიწოდების კუთხით.
8	ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სერვისების ხელმისაწვდომობა*	ჯანმრთელობის დაცვა	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით დანერგილი მექანიზმების ეფექტიანობის საკითხები.
9	ქართულ დიასპორასთან კავშირების გაძლიერება	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს რამდენად უზრუნველყოფილია თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების საერთო ინტერესების განხორციელების, ასევე ქვეყნის განვითარებისთვის დიასპორაში არსებული პოტენციალის გამოყენება და დიასპორის ჩართულობის ზრდა.
10	ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესზე სახელმწიფო კონტროლი	ეკონომიკური საქმიანობა	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების პროცესზე სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანობის საკითხები.
11	მოქალაქეთა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს რამდენად უზრუნველყოფილია მოწყვლადი ბენეფიციარები უფასო სამართლებრივი დახმარებით.
12	საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება	საერთო დანიშნულების	საერთო დანიშნულების სახელმწიფო	აუდიტის მიზანია შეისწავლოს რამდენად ხორციელდება საჯარო მოხელეების სათანადო და უწყვეტი პროფესიული განვითარება სახელმწიფოს

		სახელმწიფო მომსახურება	მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	მიზნებისა და ამოცანების დროული და ხარისხიანი მიღწევის უზრუნველსაყოფად.
13	მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონალური განვითარების ასოციაციების საქმიანობა	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ასოციაციების საქმიანობის, მათ შორის, ფინანსური რესურსების ფორმირებისა და ხარჯვის ეფექტიანობის საკითხები.
14	მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების მართვა*	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს თანმიმდევრულია თუ არა მუნიციპალიტეტებში იურიდიული პირების მართვის პოლიტიკა და რამდენად უზრუნველყოფს იგი არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას.
15	საჯარო სექტორში ელექტრონული სერვისების უწყვეტობა	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საჯარო სექტორის მზაობა უწყვეტად მიაწოდოს მოქალაქეებს სახელმწიფო სერვისები. კერძოდ, შევასწავლო პანდემიამდე და მიმდინარე გამოწვევის პირობებში საჯარო სექტორის მიერ გადადგმული ნაბიჯები სახელმწიფო სერვისების გამართულად და შეუფერხებლად მიწოდებისათვის.
16	ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები*	ეკონომიკური საქმიანობა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ - აწარმოე საქართველოში მიერ ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის საკითხები.
17	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ღონისძიებები*	ეკონომიკური საქმიანობა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ - აწარმოე საქართველოს მიერ, მეწარმეთა საჭიროებების საპასუხოდ განხორციელებული ხელშეწყობის პროგრამები და ღონისძიებები. ასევე, 2020 წლის ფარგლებში აუდიტი დაფარავს პანდემიის ნეგატიური ეფექტების საპასუხო ღონისძიებების კომპონენტს.
18	საჯარო სექტორში IT პროექტების მართვა*	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს, ერთი მხრივ, საჯარო უწყებების დონეზე საკუთარი ადამიანური რესურსით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისას დროულობისა და ბიუჯეტის მართვის პროცესები, ხოლო მეორე მხრივ - ქვეყნის დონეზე, IT პროექტების მართვის პრაქტიკა, თუ რამდენად არსებობს მონიტორინგის/კოორდინაციის ქმედითი მექანიზმები და შესაბამისი მარეგულირებელი გარემო.